სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №60
2014 წლის 23 ოქტომბერი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებისა და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რეესტრი და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე” სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №38 დადგენილება (სსმ 19/08/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.108.016173).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ხვიჩა ჟიშკარიანი**

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა

თანამდებობრივი რეესტრი და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგოები (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
	წამყვანი საჯარო თანამდებობა	
4	აპარატის უფროსი	1000
	უფროსი საჯარო თანამდებობა	
5	განყოფილების უფროსი	790

6	თავმჯდომარის თანაშემწე	700
7	მთავარი სპეციალისტი	560
უმცროსი საჯარო თანამდებობა		
8	წამყვანი სპეციალისტი	510
9	სპეციალისტი	470